# 2007

2007 წლიური ანგარიში

*2007 ANNUAL REPORT*

# ქართლი XXI
# KARTLI XXI

## სასწავლო-საინფორმაციო ცენტრი
## Information-Education Center

# შინაარსი Contents


ზოგადი ინფორმაცია - Background ..... 5

ორგანიზაციის მისია - Organization’s Mission ..... 6

წერილი დირექტორისგან - Letter from Director ..... 8

მიმდინარე პროექტები - Current Projects ..... 11

“იყავი აქტიური მოქალაქე” - “Be An Active Citizen” ..... 13

ღონისძიებებში მონაწილე ორგანიზაციები - Event Participants ..... 14

დონორები და პარტნიორები - Donors and Partners ..... 16

ფინანსური ინფორმაცია - Financial Information ..... 17

დამფუძნებლები, დირექტორთა საბჭო, თანამშრომლები და მოხალისეები - Founders, Board of Directors, Personnel and Volunteers ..... 19

თანამშრომლები - Who Are We ..... 21

მომავალი შესაძლებლობები - Future Capacity ..... 23

# ზოგადი ინფორმაცია *Background*

“ქართლი XXI” დაარსდა “შიდა ქართლის” სახელით 1996 წელს. “ქართლი XXI” არის არასამთავრობო ორგანიზაცია, საინფორმაციო და სასწავლო ცენტრი. ჩვენი მისიაა სამოქალაქო საზოგადოების განვითარება და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება, ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ორგანიზაცია უზრუნველყოფს მოქალაქეებისა და მთავრობის ინფორმირებულობას, ამავე დროს, ხელს უწყობს ჯანსაღი და აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას ჩვენს რეგიონში.

ორგანიზაციაში მუშაობს 5 თანამშრომელი და იმართება დამოუკიდებელ დირექტორთა საბჭოს მიერ. “ქართლი XXI” აღჭურვილია თანამედროვე საოფისე ტექნიკით (კომპიუტერები, ფაქსი, სკანერი, პრინტერი და ინტერნეტი), ამავე დროს ორგანიზაციაში არის კომპიუტერის შემსწავლელი სასწავლო ოთახი. “ქართლი XXI-ის” ძირითადი შემოსავლის წყაროა ტრენინგები, საწევრო გადასახადები, შემოწირულობები და საქველმოქმედო ფონდები.




“Kartli XXI” was founded as “Shida Kartli” in 1996. Kartli XXI is a non-governmental (NGO) information and education center. Our mission is to develop civil society and improve local self-government. By using information and information technology, we inform citizens and government while promoting a healthy and vibrant civil society in our region.

Kartli XXI has a staff of 5 and is governed by an indepedant board of directors. Our office is equipped with modern office equipment (computers, fax, scanner, and internet) as well as a computer classroom for training students. Kartli XXI is supported by training and membership fees, donations, and charity funds.

# ორგანიზაციის მისია
# Organization's Mission

სასწავლო საინფორმაციო ცენტრი „ქართლი XXI" არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც ხელს უწყობს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების აღმშენებლობას. ეს მიზანი ხორციელდება მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებით და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა აქტიური ჩართვით, მათი ინტერესების დაცვითა და სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერით, პრაქტიკაზე ორიენტირებული კვლევების ჩატარებით. ცენტრი ცდილობს, მხარი დაუჭიროს საზოგადოების იმ ჯგუფებს და ცალკეულ პირებს, რომლებიც ხელს უწყობენ სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ რეფორმებს და ადამიანის უფლებების დაცვის ეფექტური ინსტიტუტების ჩამოყალიბებას.

"ქართლი XXI" ფინანსურ სახსრებს შეადგენს სასწავლო და საწევრო გადასახადები, შემოწირულობები და საქველმოქმედო ფონდები.

"ქართლი XXI" მთავარი მიზნებია:
• პოლიტიკური და დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერა;
• მოსახლეობის სამოქალაქო განათლება და მმართველობაში ჩართვა;
• ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგი;
• სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის მხარდაჭერა;
• დემოკრატიული ინსტიტუტებისა და საკანონმდებლო საქმიანობის მხარდაჭერა

ამრიგად,ცენტრის მისია არის საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების აღმშენებლობა მთავრობასა და საზოგადოებას შორის ორმხრივი დიალოგის ხელშეწყობის გზით.

The Education-Information Center is a non-governmental organization which seeks to promote the development of civil society in Georgia by raising the awareness of the population, stimulating the active involvement of citizens in decision making processes, advocating the interests of various civic groups, supporting civic initiatives, and conducting applicable practical research. The center endeavors to support groups and individuals that promote social, political and economic reforms, and contribute to the development of efficient institutions for the protection of human rights.

Kartli XXI is supported by training and membership fees, donations and charity funds.

Kartli XXI's main goals are:
• Support political and democratic processes
• Involve citizens in state life and civil education
• Improve the system of social supervision over government activities
• Create institutions of civil society in Georgia
• Support and recommend democratic legislation.

In short: the mission of the organization is to build civil society in Georgia by promoting mutual dialogue between the government and citizens.



Computer classes are taught daily and start year-round. In 2007 117 students took part in computer programs' classes.

კომპიუტერის სწავლება მიმდინარეობს მთელი წლის მანძილზე. 2007 წელს 117-მა ადმიანმა შეისწავლა საოფისე პროგრამების მოხმარება.

"თქვენმა პროექტმა ჩემი ცხოვრება მთლიანად შეცვალა... ახლა უკვე დიდი და სერიოზული მიზნები მაქვს, თანაც იმედიანად ვარ, რომ აუცილებლად განვახორციელებ... როცა ვფიქრობ, რომ სიმშვიდე, გონიერება და კეთილგანწყობა მჭირდება... მაშინვე თქვენს ოფისს მოვაშურებ და ყველაფერი ლაგდება... დიდი მადლობა..."
**გიორგი კიკნაძე, №2 ჯგუფი 4 ჯგუფი**

**"Your project totally changed my life…. Now I have large and serious goals. I also feel hopeful that I will definitely implement these goals. When I feel that I need quietness or advice I am coming to your office."**
***Giorgi Kiknadze, Group # 2***

# წერილი დირექტორისგან



სიამოვნებით წარმოგიდგენთ სასწავლო-საინფორმაციო ცენტრის „ქართლი XXI“ 2007 წლის საქმიანობის ანგარიშს.

2007 წელს წარმატებით დასრულდა ამერიკის საელჩოს მიერ დაფინანსებული „ბიზნესისა და ადმინისტრირების სკოლის“ პროექტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 64 მოსწავლემ. თუმცა, მოსახლეობის დაჟინებული თხოვნით პროექტმა დამოუკიდებლად განაგრძო არსებობა და წლის ბოლომდე დამატებით გვყავდა 24 კურსდამთავრებული.

აგრეთვე, წარმატებული გამოდგა და მაღალი შეფასება ჰპოვა საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობის მიერ დაფინანსებული ჟურნალის „იყავი აქტიური მოქალაქე“ პროექტმა. აღნიშნული ჟურნალის ყოველთვიური გამოცემა ვრცელდებოდა ხაშურის რაიონის ყველა საკრებულოსა და ორგანიზაციებში.

2007 წელს ორგანიზაციაში მუშაობა დაასრულა ამერიკის მშვიდობის კორპუსის მოხალისემ დულანი ვუდსმა და მის ნაცვლად ამერიკიდან ჩამოვიდა ახალი მოხალისე ემი სოუსვორსი, რომელმაც ჩვენს ორგანიზაციაში დანერგილი გამოცდილება კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახადა და მეტი იმპულსი მისცა ორგანიზაციას ახალი ურთიერთობების განვითარებისათვის, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

უფრო განმტკიცდა ორგანიზაციის საქმიანობა, როგორც ადგილობრივ, ისე რეგიონის ხელისუფლებასთან დემოკრატიული პრინციპების ცხოვრებაში უკეთ დანერგვის თვალსაზრისით.

დასასრულს, დიდ მადლობას ვუხდი ყველა იმ პირსა თუ ორგანიზაციას, ვინც ამ წლის განმავლობაში აქტიურად თანამშრომლობდა ჩვენთან საკუთარი და ჩვენი რაიონის განვითარების საქმეში.



ნიკოლოზ ქურდაძე, დირექტორი

## Letter from Director



It gives me great pleasure to introduce Information-Education Center Kartli XXI's Annual Report for 2007.

In 2007 our organization successfully completed Business and Administration Training project, funded by the US Embassy. Sixty-four students participated in the project but though the community's great demand this project continued with self-sustainability. By the end of 2007 we had an additional 24 program graduates.

A second project implemented was funded by the European Commission to Georgia. During the project duration 12 volumes of the democracy journal "Be an Active Citizen" were published and spread throughout the Khashuri district.  EU Commission representatives evaluated the project highly successful and we hope to implement similar projects in the future.
In 2007 American Peace Corps Volunteer Dulani Woods finished his service in the organization and now Amy Southworth (volunteer from the new group) is working in the organization. Amy deepened organization's experience and made it multi-directional. She gave impulse to the organization for building new relationships with local and international organizations.

Organization's activities have been strengthened with local and regional governments in the context of building democratic principles in life.

At last I want to thank to every person or organization who actively collaborated with us during 2007.



Nikoloz Kurdadze, Director

# 2007 წლის საქმიანობა

# 2007 Activities



“ამ პერიოდს ჩემი ცხოვრების “რენესანსის” ხანა შემიძლია ვუწოდო. ამ პერიოდის ავტორი და ინიციატორი თქვენ ხართ. ბევრი რამ ვისწავლე თქვენგან, ძალიან ბევრი... ვისწავლე დედამიწაზე გაძლება და ცხოვრებაგადარჩენა...”

ნინო სალაღაია, №4 ჯგუფი

“I can call this period the renaissance of my life. You are an author and initiator of this period. I have learned a lot of from you, a lot... I learned how to live and survive on earth!”

Nino Salagaia, Group # 4

“ქართლი XXI“ არის ლიდერი არასამთავრობო ორგანიზაციათა შორის, რომელიც არის არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის “სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიული საქართველოსათვის“ სამივე კონგრესის წევრი და ასევე მშვიდობის კორპუსის პროგრამების მრჩეველთა საბჭოს წევრი.

*Kartli XXI is a leader in the NGO community and our staff sits on the board of several advisory groups including Coalition Civil Society for Democratic Georgia three time Congress participant as well as, United State Peace Corps Project Advisory Committee.*

# მიმდინარე პროექტები
# Current Projects

## კომპიუტერული სწავლების პროგრამა

2007 წლის განმავლობაში, “ქართლი XXI” განაგრძობდა საოფისე პროგრამებისა და ინტერნეტის სწავლებას ხაშურის რაიონისა და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები მოსახლეობისათვის. 117 მსმენელი დაესწრო კომპიუტერის კურსს, რომელთაც ორგანიზაციამ შესთავაზა საოფისე პროგრამების პრაქტიკული გამოყენებაც. ყველა მათგანი ესწრებოდა ყოველდღიურ 1 საათიან ლექციას და მთლიანად კურსის ხანგრძლივობა 45 დღეს შეადგენდა. კურსის დამთავრების შემდეგ, სერთიფიკატის მისაღებად, მსმენელებს მოეთხოვებოდათ ტესტის ჩაბარება. “ქართლი XXI”-ს შემუშავებული და გამოცემული აქვს საკუთარი სასწავლო მასალა მსმენელებისთვის კომპიუტერული პროგრამების მიხედვით. ამასთან დამატებით, 19 კურსდამთავრებულმა გაიარა ინტერნეტის კურსი.

1999 წლიდან “ქართლი XXI” წარმატებით ახორცილებს კომპიუტერის სასწავლო პროგრამას. წარმატებულმა კურსდამთავრებულებმა მოძებნეს სამუშაო კომპიუტერის ოპერატორებისა და თანაშემწეების სახით. ყველა ახალი ჯგუფის შევსების და დაწყების დროს ხდება სასწავლო მასალების განხილვა და ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება. წლების განმავლობაში პროგრამა გაუმჯობესდა და უფრო აკადემიური გახდა, მას დაემატა ახალი სასწავლო პროგრამები და დაიბეჭდა ახალი სასწავლო მასალა.

## ბიზნესისა და ადმინისტრირების სკოლა

2006 წლის აგვისტოში ამერიკის საელჩოს დახმარებითა და დაფინანსებით, ჩვენმა ორგანიზაციამ, დაიწყო ახალი პროექტის “ბიზნესისა და ადმინისტრირების სკოლის” განხორციელება. ამ პროექტის ფარგლებში, ინდივიდუალურმა პირებმა შეიძინეს ბიზნესთან და

## Program: Computer Training

During 2007, Kartli XXI continued to teach community members on basic operation, Microsoft Office programs and internet. 117 trainees participated in this project and they were offered office programs for practical use. Each student took one hour class daily, and the course lasted 45 days. To graduate and receive their certificates, trainees were required to pass a test. Kartli XXI authored and published special guides for trainees according to computer programs. In addition 19 students participated in a month long internet only training.

Since 1999, Kartli XXI has been successfully teaching computer courses to the community and successful graduates have found better employment as computer operators and clerks. With every new group comes a review of the teaching methodology and addition of new technology to the curriculum. Through the years the program has improved and become more academic, added additional programs and a literature guide was published. New groups start monthly at the center.

## Business and Administration School

In August 2006, by assistance and partial financing of American Embassy our organization “Kartli XXI” started a new project called “Business and Administration School”, which established a center for the individuals who required necessary business and administration skills. Based on experiences and knowledge gained in our school, they would study appropriate subjects and assist authorities in specific business. The project financing finished in August 2007 but the organization has had six training groups since that date each completing a three month course for two hours every day. The target population was community members over the age of 20 but students have ranged from 17 to 50 showing the demand for such services in Khashuri. Since the project foundation, there are 72 graduates

# მიმდინარე პროექტები
# Current Projects (cont'd)

ადმინისტრირებასთან დაკავშირებული გამოცდილებები. ჩვენი სკოლის გამოცდილებასა და ცოდნაზე დაყრდნობით, მათ უნდა შეესწავლათ შესაბამისი საგნები და დახმარებოდნენ ლიდერებს სპეციფიურ საქმიანობებში. პროექტის დაფინანსება დასრულდა 2007 წლის აგვისტოში. კურსი გრძელდებოდა 3 თვის განმავლობაში და მოიცავდა ყოველდღიურ 2 საათიან სწავლებას. პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა 20 წლის ზემოთ მქონე ასაკის მოქალაქეები. პროექტის დაწყებიდან დღემდე დატრენინგდა 72 მსმენელი. კურსი მოიცავდა 8 საგანს:

1. კომპიუტერის საოფისე პროგრამები
2. დაწყებითი ინგლისურის კურსი
3. ინფორმაციული ტექნოლოგიები
4. კანონმდებლობა
5. საქმისწარმოება
6. ეტიკეტი
7. ფუნქციური წერა
8. ინტერნეტი

## ინგლისური ენის სასწავლო კურსი

2007 წელს ინგლისური ენის კურსი ჩაუტარდათ მოქალაქეთა ცოდნის სხვადასხვა დონის მქონე ჯგუფებს. დაახლოებით 30-მა ადამიანმა გაიარა ინგლისური ენის კურსი, რომელსაც წარმართავდნენ "ქართლი XXI"-ს თანამშრომლები და ამრიკელი კონსულტანტი. ჯგუფის შემადგენლობა მოიცავდა დამწყებ და საშუალო დონეზე მყოფ სტუდენტებს. სასწავლო მასალები ძირითადად გამოიყენებოდა კემბრიჯის უნივერსიტეტის სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით. სასწავლო მეთოდად გამოიყენებოდა კიმუნიკაციური მეთოდი. ყველა წარმეტებულ მსმენელზე გაიცემოდა სერტიფიკატი. ინგლისური ენის სწავლების პროგრამა მიმდინარეობდა მთელი წლის განმავლობაში.

of the program. The 8 subjects taught include:

1. Computer office programs
2. Elementary English
3. Informational technologies
4. Legislation
5. Business correspondence
6. Etiquette
7. Functional Writing
8. Internet

## Program: English Classes

During 2007 English classes are taught to multi level groups of citizens from the area. Approximately 30 students took part in weekly classes taught by NGO staff and an American consultant. The American consultant, as a native English speaker, was the main instructor and the NGO staff member provided instruction and explanations in Georgian. The group consisted of beginning and intermediate students, creating challenges on how to direct the teaching material.

Course material was developed from the Cambridge TEFL books. Teaching method used during the course was communicative to benefit actual real life English use. Certificates were issued to all successful graduates of the course. Classes are continuously starting throughout the year.

# იყავი აქტიური მოქალაქე
# *Be An Active Citizen*

პროექტი „იყავი აქტიური მოქალაქე„ მოიცავდა ყოველთვიური ჟურნალის გამოცემას, რაც ხელს უწყობდა სამოქალაქო ცნობიერების გაზრდას სამოქალაქო განათლებისა და საარჩევნო პროცედურების საკითხებში. აგრეთვე, ავითარებდა ახალგაზრდათა ჩართულობას მმართველობისა და თვითმმართველობის საკითხებში. ჟურნალის გმოცემა დააფინანსა ევროპის კომისიის წარმომადგენლობამ საქართველოში. ადგილობრივმა მოქალაქეებმა გაზარდეს მათი ჩართულობა ადგილობრივი მმართველობის საქმიანობებში და ამის შედეგად სამთავრობო საქმიანობები გახდა უფრო ანგარიშვალდებული საზოგადოების მიმართ. ჟურნალის გამოსაცემად ორგანიზაცია თანამშრომლობდა 5 ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასთან. პროექტი წარმატებით დასრულდა და „ქართლი XXI„ იმედს იტოვებს, რომ მომავალშიც განახორციელებს მსგავსი ტიპის პროექტებს.

*Be An Active Citizen, was a monthly journal published to promote civic awareness in civil education and election procedures and therefore improving youth participation in government and self-government. Civil responsibility and skills for self government were covered in every issue. The journal was financed by the European Commission Delegation to Georgia. Local citizenry increased their participation in local government and the government activities were more accountable. Publishing included the cooperation of 5 local NGOs. The project was extremely successful and Kartli XXI hopes to implement similar projects in the future.*



# ღონისძიებებში მონაწილე ორგანიზაციები

# Event Participants

- ხაშურის მუნიციპალიტეტი
- გაზეთ „ხაშურის მოამბის“ რედაქცია
- დამოუკიდებელი ტელეკომპანია „დია“
- არასამთავრობო ორგანიზაცია „თემიდა“
- არასამთავრობო ორგანიზაცია „რაზმი მა“
- არასამთავრობო ორგანიზაცია „თრიალეთი“
- არასამთავრობო ორგანიზაცია „ცვლა“
- არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატი“
- არასამთავრობო ორგანიზაცია „ლიხი“
- არასამთავრობო ორგანიზაცია “გარემო”
- წიგნისა და ინფორმაციის სახლი
- ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
- №3 საჯარო სკოლა
- №5 საჯარო სკოლა
- №7 საჯარო სკოლა
- №8 საჯარო სკოლა
- შემოქმედ ბავშვთა სასწავლო ცენტრი
- პროკრედიტბანკის ხაშურის ფილიალი
- საქართველოს ბანკის ხაშურის ფილიალი
- მშვიდობის კორპუსის საქართველოში
- ხაშურის რაიონის პოლიცია
- ხაშურის საქალაქო კულტურის ცენტრი

- Khashuri Municipality
- Editorial “Khashuris Moambe”
- Independent TV Company “Dia”
- NGO “Temida”
- NGO “Razmi Ma”
- NGO “Trialeri”
- NGO “Tsvla”
- NGO “Democrat”
- NGO “Likhi”
- NGO “Garemo”
- Book and Information Center
- Khashuri District Educational Resource Center
- Public School #3, Khashuri
- Public Schol #5, Khashuri
- Public School #7, Khashuri
- Public School #8, Khashuri
- Community Youth Center
- Khashuri Branch of “Pro Credit Bank”
- Khashuri Branch of “Georgian Bank”
- United States Peace Corps/Georgia
- Khashuri District Police
- Khashuri District Culture Center

**“ყველა იმ აუცილებელ და საჭირო საგნების სწავლასთან ერთად,ვიღებდი საოცრად დადებით ემოციებს, სკოლაში მოსვლისას იშვიათი მშვიდი განწყობა მეუფლებოდა და მეხმარებოდა ჩემი ყოველდღიური ცხოვრების მოწესრიგებაში... ბედნიერი ვარ... ყველაფერმა მოლოდინს გადააჭარბა.”**

**ეკატერინე აბრამაშვილი, №7 ჯგუფი**

**“Together with learning all the necessary subjects I was getting positive emotions as well. I was always in a good mood, while I was in your organization. It really helped me to organize my daily life... It really exceeded my expectations.”**

**Ekaterine Abramashvili, Group # 7**




მსმენელები მონაწილეობას იღებდნენ ინგლისურის შემსწავლელ პროგრამაში, როგორც ბიზნესისა და ადმინისტრირების ტრეინინგ-ცენტრის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილში.

Students participating in English classes as part of the Bussiness and Administration School.

# დონორები და პარტნიორები
# Donors and Partners

- აშშ-ს საელჩო
- კანადის საელჩო
- გერმანიის საელჩო
- ევრაზიის ფონდი
- ევროკომისიის საქართველოს წარმომადგენლობა
- ფონდი "ღია საზოგადოება – საქართველო"
- ფრიდრიხ ებერტის ფონდი
- WWF-ის საქართველოს წარმომადგენლობა
- გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საბჭო
- ინსტიტუციონალური რეფორმებისა და ინფორმაციული სექტორის პროგრამა
- ISAR-საქართველო
- კავკასიის რეგიონალური გარემოსდაცვითი ფონდი
- საქართველოს მმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების პროგრამა (GoCiSP)
- TACIS–ის გარემოსდაცვითი განათლების პროგრამა
- ჩრდილოეთ ირლანდიის საწარმო "NICO"
- ინგლისის განვითარების დეპარტამენტი
- ურბანული ინსტიტუტი
- World Vision - საქართველოს წარმომადგენლობა

- Embassy of the United States (USIS)
- Embassy of Canada
- Embassy of Germany
- Eurasia Foundation
- European Commission Delegation
- Open Society Foundation
- Pridrikh Ebert Fund
- World Wildlife Fund
- Gesellschaft Für Technische Zusammenar Beit (GTZ) GmbH
- Institutional Reform and the Informal Sector (IRIS)
- Initiative for Social Action and Renewal (ISAR)
- Regional Environmental Centre for the Caucasus (REC Caucasus)
- Georgia Governance and Civil Society Program (GoCiSP)
- The TACIS Environmental Awareness Raising Programme
- Northern Ireland Public Sector Enterprise Limited (NICO)
- Department for International Development (DFID)
- Urban Institute
- World Vision International





# ფინანსური ინფორმაცია
# Financial Information

შ.პ.ს აუდიტორული ფირმა „ლადა–აუდიტი“

AUDITING FIRM "LADA-AUDIT" LTD

5700, ხაშური, კოსტავას ქ. №11 | ტელ: 8 99 267630 | 5700 Khashuri 11 Kostava Str.

№ 3/08-1

"9" იანვარი, 2008 წელი

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
(სასწავლო საინფორმაციო ცენტრის „ქართლი XXI" გამგეობის წევრებს)

ჩვენ ჩავატარეთ სასწავლო საინფორმაციო ცენტრი „ქართლი XXI"– ის თანდართული ბალანსის აუდიტი 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების აუდიტი იმ საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2007 წლის 31 დეკემბერს. მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია საზოგადოების ხელმძღვანელობა. ჩვენ გვევალება ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვხატოთ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ და გავცეთ დასკვნა.

აუდიტი ჩატარებულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომელიც ჩვენგან მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს. აუდიტი ითვალისწინებს მტკიცებულებების შემოწმებას ტესტირების საფუძველზე ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხებისა და ახსნა–განმარტებების დადასტურების მიზნით. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის განხილვას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანად. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესადგენად.

ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემების სტრუქტურა, მათი ფუნქციონირება და ის, თუ როგორ გამოიყენება შესაბამისი ღონისძიებები და კონტროლის პროცედურები სამეურნეო ოპერაციების თითოეული კლასის დამუშავების პროცესში.

ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობის და სხვა პერსონალის გამოკითხვა და ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემების მიერ წარმოებული დოკუმენტებისა და ჩანაწერების შემოწმება, დაკვირვება სამეურნეო სუბიექტის საქმიანობასა და ოპერაციებზე, მათ შორის კომპიუტერული ოპერაციების ორგანიზაციაზე, ხელმძღვანელ პერსონალზე, აგრეთვე, ოპერაციების დამუშავების ხასიათზე.

სამეურნეო ოპერაციების შედეგების ანალიზისას განხილულ და შემოწმებულ იქნა მონაცემთა აღრიცხვის სისრულე, სიზუსტე, საქმიანი ოპერაციების კანონიერება, ჩანაწერების სისრულე და ჩანაწერების სიზუსტე.

შემოწმდა აქტივების დაცვის მექანიზმი და დადგინდა, რომ მათზე ხელი მიუწვდება მხოლოდ იმ პერსონალს, ვისაც საამისოდ სათანადო ნებართვა აქვს და მოვალეობები ისეა დანაწილებული, რომ ერთი და იგივე პირი ერთდროულად არ აწარმოებს კონკრეტული სამეურნეო ოპერაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და კონტროლს, აგრეთვე შესაბამისი აქტივების დაცვას.

ცენტრის საალრიცხვო პოლიტიკაა, მოამზადოს თანდართული ფინანსური ანგარიშგება საკასო მეთოდით. აღნიშნულ მეთოდზე დაყრდნობით შემოსავლები აღიარდება ფულის მიღებისას და ხარჯები, მისი ფაქტობრივად გაწევისას.

ჩვენი აზრით, მოცემული ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.

დავით ზაზიკაშვილი
აუდიტორული ფირმის დირექტორი
2008 წლის 9 იანვარი, ხაშური, საქართველო

ლ.ცუცქირიძე, აუდიტორი

ლიცენზია საქმიანობაზე გაცემული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ: ზ №211, 08.12.2000
License on the Audit Activity issued by the Audit Council at the Parliament of Georgia,z # 211

# ფინანსური ინფორმაცია
# Financial Information

შ.პ.ს აუდიტორული
ფირმა
„ლადა–აუდიტი“

**AUDITING FIRM**
**“LADA-AUDIT”**
**LTD**

5700, ხაშური, კოსტავას ქ. №11 | ტელ: 8 99 267630 | 5700 Khashuri 11 Kostava Str.
№ 3/08-1
“9” იანვარი, 2008 წელი

**REPORT OF INDEPENDENT AUDITORS**

*(To the Members of Board of Education-Information Center “Kartli XXI”)*

We have audited the accompanying statement of the financial position of Education-Information Center “Kartli XXI (the Union) as of December, 31 2007 and the related statements of activities and expenditure and cash flow statements for the year then ended. Our responsibility is to express an opinion on these financial statements based on our audit.

We conducted our audit in accordance with the International Standards on Auditing. Those standards require that we plan and perform the audit to obtain reasonable assurance about whether the financial statements are free of material misstatement. An audit includes examining, on a test basis, evidence supporting the amounts and disclosures in the financial statements. An audit also includes assessing the accounting principles used and significant estimates made by management, as well as evaluating the overall financial statement presentation. We believe that our audit provides a reasonable basis for our opinion.

We studied structures of accounting and internal control system, their operation and how appropriate measures and control procedures are applied in the process of elaboration of economic transaction for each accounting classification.

We surveyed the authorities of economic subjects and other personnel as well as reviewed documents and records prepared by accounting and internal control structures, observed activity of economic subject and transactions, among them organization of computer operations, leading personnel and character of elaboration process.

Analyzing results of economic transactions, we reviewed the accuracy and throroughness of data recording, legality of operations as well as completeness and correctness of entries.

We reviewed assets safeguarding mechanisms and it was defined that they were available for personnel who were permitted only and duties were distributed so, that one and the same person was not responsible for accounting and control of concrete economic operation as well as the safeguarding of assets.

The Union’s policy is to prepare the accompanying statements on the cash receipts and disbursements basis. On this basis, revenue is recognized when received rather than when earned, and expenses are recognized when paid rather than incurred.

In our opinion, the financial statements present fairly in all material respects the financial position of the Union as of December 31, 2007 and of the results of its operations and its cash flows for the year.

David Zazikashvili
Director of Auditing Firm “Lada-Audit”
January 9, 2008, Khashuri, Georgia

L. Tsutskiridze
Auditor

ლიცენზია საქმიანობაზე გაცემული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ: ზ №211, 08.12.2000
License on the Audit Activity issued by the Audit Council at the Parliament of Georgia z # 211

# დამფუძნებლები, დირექტორთა საბჭო, თანამშრომლები და მოხალისეები

## დამფუძნებლები

ქსენია წიქარიშვილი
მაია სულაძე
დავით წიქარიშვილი
ირმა ხორბალაძე
ლალი ბერიძე

## დირექტორთა საბჭო

დავით წიქარიშვილი
ნიკოლოზ ქურდაძე
ზაზა აბაიაძე

## თანამშრომლები

დავით წიქარიშვილი
ნიკოლოზ ქურდაძე
მაია შათირიშვილი
ნანა ჯობაძე
თეონა ქიმერიძე
იოსებ სებისკვერაძე
მარიამ ავალიშვილი
თინათინ ფარეიშვილი
ხათუნა ღონღაძე
ალეკო წიქარიშვილი
კონსტანტინე ფრუიძე
თინათინ დევდარიანი
დულანი ვუდსი
ემი სოუსვორსი

## მოხალისეები

ვენდი ვუდსი
ალექსანდრე ჯოჯიშვილი
ლადო ლაცაბიძე
ლალი ლაცაბიძე
მაია გუდაძე
ნინო ხაჩიძე
მანანა გელაშვილი
ნუგზარ გოცირიძე
ამირან ღვალაძე
ნინო სუხიაშვილი
ნინო დალალიშვილი
ირინა გოგიტაური
დავით ღოღობერიძე
ქეთევან ლაცაბიძე
არჩილ შალიბაშვილი
ალექსი ცერიაშვილი



"ეს სკოლა ზუსტად იმას იძლევა, რაც ნამდვილად აუცილებელია დღევანდელი თანამედროვე XXI საუკუნის ადამიანებისათვის... თქვენ დამეხმარეთ ჩემი თავის საზოგადოებაში მყარად დამკვიდრებისათვის... მადლიერი ვარ!"
ნანა ხვედელიძე, №6 ჯგუფი

"This school is giving us exactly it what is really necessary for the modern life in the XXI century people. You helped me to establish myself firmly in society. I am grateful to you!"
Nana Khvedelidze, Group # 6

# Founders, Board of Directors, Personnel and Volunteers

## Founders

Ksenia Tsikarishvili
Maia Suladze
David Tsikarishvili
Irma Khorbaladze
Lali Beridze

## Board of Directors

David Tsikarishvili
Nikolaz Kurdadze
Zaza Abaiadze

## Personnel

David Tsikarishvili
Nikoloz Kurdadze
Ioseb Sebiskveradze
Teona Kimeridze
Tinatin Pareishvili
Lali Beridze
Tinatin Devdariani
Dulani Woods
Amy Southworth

## Volunteers

Wendy Woods
Alexander Jojishvili
Maia Shatirishvili
Nana Jobadze
Lado Latsabidze
Lali  Latsabidze
Maia Gudadze
Nino Khachidze
Manana Gelashvili
Nugzar Gotsiridze
Amiran Gvaladze
Nino Sukhiashvili
Sergo Pareishvili



“ყველაზე მთავარი... ადამიანებთან ურთიერთობები ვისწავლე... და ყველასთან ურთიერთობები მოვაწესრიგე. სერიოზული განათლება მივიღე და მომავალი ნაბიჯების დაგეგმვა მიადვილდება. თუ წარმატებებით სვლა სურს ვინმეს მომავლისაკენ, მათ ვურჩევ,ამ პროგრამაში მიიღონ მონაწილეობა...”
ბექა თომაძე, №3 ჯგუფი

“The most important thing I know is having relationships with people and I managed relationships with everybody. I got a serious education and it is easier for me to plan future. If anybody wants to move forward in their life, I advice them to participate in this project...”
Beka Tomadze, Group #3

# თანამშრომლები

# Who Are We

**დავით წიქარიშვილი**



ისტორიკოსი, ჟურნალისტი. აქვს ორგანიზაციული მართვის 10 წლიანი გამოცდილება. არის პროექტების ავტორი და კოორდინატორი. დ.წიქარიშვილი ლაპარაკობს ქართულად,რუსულად, ინგლისურად. არის საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი. „ქართლი XXI"-ის დამფუძნებელი.

**ნიკოლოზ ქურდაძე**



ტრენერი, ეკონომისტი. აქვს 5 წლიანი გამოცდილება მენეჯმენტსა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში,ნ. ქურდაძე ლაპარაკობს ქართულად, რუსულად და ინგლისურად. მისი გამოცდილება მოიცავს სტუდენტების წვრთნას ინფორმაციულ და კომპიუტერულ ტექნოლოგიებში. ორგანიზაციაში მუშაობს 2002 წლიდან. ამჟამად იგი ორგანიზაციის დირექტორია.

**თეონა ქიმერიძე**



მთარგმნელი, ტექნიკური სპეციალისტი. აქვს არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობის 3 წლიანი გამოცდილება. თ. ქიმერიძე ლაპარაკობს ქართულად, ინგლისურად და რუსულად არის დემოკრატიის განვითარების ინსტიტუტის წევრი. ორგანიზაციაში მუშაობს 2004 წლიდან.

**ემი სოუსვორსი**



ამერიკის მშვიდობის კორპუსის მოხალისე. აქვს 6 წლიანი გამოცდილება საერთაშორისო და ეროვნულ არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობისა ვაშინგტონში, ამერიკაში. ლაპარაკობს ინგლისურად და ქართულად.

**თინათინ ფარეიშვილი**



მთარგმნელი, ტრენერი. აქვს 5 წლიანი გამოცდილება სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში. თ. ფარეიშვილი ლაპარაკობს ქართულად, ინგლისურად და რუსულად. მის პროფესიულ გამოცდილებაში შედის სკოლის მასწავლებლად მუშაობა. ორგანიზაციაში მუშაობს 2000 წლიდან.

**კოტე ფრუიძე**



ოფისის მენეჯერი. ფლობს ქართულ,რუსულ და ინგლისურ ენებს,აქვს უმაღლესი ეკონომიკური განათლება,ორგანიზაციაში მუშაობს 2006 წლიდან.

**დულანი ვუდსი**



ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობის კორპუსის მოხალისე. აქვს მთავრობაში მუშაობის, მენეჯერის, საინჟინრო საქმის და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების 10 წლიანი გამოცდილება. დ. ვუდსი ლაპარაკობს ქართულად და ინგლისურად. ორგანიზაციაში მუშაობს 2005 წლიდან.

**მაია შათირიშვილი**



ოფისის სამდივნოს უფროსი.
აქვს არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობის 3 წლიანი გამოცდილება. მ. შათირიშვილი ლაპარაკობს ქართულად, რუსულად,დაწყებით ინგლისურს. ორგანიზაციაში მუშაობს 2004 წლიდან.

**ალეკო წიქარიშვილი**



ოფისის ტექნიკური მენეჯერი. აქვს საფუძვლიანი ცოდნა კომპიუტერული პროგრამების და ფლობს კომპიუტერის პროგრამირებისა და მონტაჟის ტექნოლოგიებს. ფლობს ქართულს რუსულს,დაწყებით ინგლისურს. ორგანიზაციაში მუშაობს 2006 წლიდან.

**ნანა ჯობაძე**



ოფისის თარჯიმანი. აქვს არასამთავრობო და სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობის გამოცდილება. ნანა ჯობაძე ლაპარაკობს ქართულად ინგლისურად და რუსულად. ორგანიზაციაში მუშაობს 2006 წლიდან.

**ხათუნა ღონღაძე**



ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობების კოორდინატორი. აქვს სახელმწიფო სამსახურებში მუშაობის გამოცდილება. ხ. ღონღაძე ფლობს ქართულ და რუსულ ენებს. იგი ორგანიზაციის თანამშრომელია 2006 წლიდან.

**მარიამ ავალიშვილი**



ორგანიზაციის პროექტების მართვის კოორდინატორი. აქვს მრავალმხრივი სამსახურეობრივი და არასამთავრობო სტრუქტურაში 2 წლიანი მუშაობის გამოცდილება. თავისუფლად ფლობს ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებს. ორგანიზაციაში მუშაობს 2005 წლიდან.

# თანამშრომლები
# Who Are We



**David Tsikarisvili**
Founder, Historian, Journalist. Ten years of organizational management experience. Author and coordinator of projects. Mr. Tsikarishvili speaks Georgian, Russian, English . Member Journalist of Georgia.



**Nikoloz Kurdadze**
Director, Trainer, Economist. Has 5 years of experience in management and civil society development. Mr. Kurdadze speaks Georgian, Russian, and English. His experience includes training students on information technology. Has worked for the organization since 2002.



**Teona Kimeridze**
Translator, Technical Specialist. Has 3 years of experience in non-governmental organizations. Ms. Kimeridze speaks Georgian, English, and Russian. Member of Democracy Development Institute. Has worked for the organization since 2004.



**Amy Southworth**
United States Peace Corps Volunteers. Has 6 years of experience working with international and national NGO's based in Washington, DC. She speaks English and Georgian.



**Tinatin Pareishvili**
Translator. Trainer. Has 5 years of experience in civil society development. Ms. Pareishvili speaks Georgian, English, and Russian. Her professional experience includes work as a school teacher. Has worked for the organization since 2000.



**Konstantine Pruidze**
Office manager. He knows Georgian, Russian and English languages. He has received high economic education at the University. He has been working at the organization since 2006.



**Dulani Woods**
United States Peace Corps Volunteer. Has 10 years of experience in government, management, engineering, and information technology applications. Mr. Woods speaks English and Georgian. Has worked for the organization since 2005.



**Maia Shatirishvili**
Chief of secretary department. Has 3-year working experience in non-governmental sector. Maia Shatirishvili speaks Georgian and Russian and basic English. Has worked for the organization since 2003.



**Aleko Tsikarishvili**
Technical manager. He has thorough knowledge of computer programs and possesses the skills of programming and installment technologies. He speaks Georgian and Russian languages and basic English. Has worked for the organization since 2006.



**Nana Jobadze**
Translator/interpreter. Has experience of working at State authorities and institutions and 2-year experience in non-governmental sector. N. Jobadze has fluent acquisition in Georgian and English. Has worked for the organization since 2006.



**Khatuna Ghonghadze**
Journal proof-reader. Has got a few year working experience at state authorities. Khatuna Ghonghadze possesses good skills in Georgian and Russian. Has worked for the organization since 2006.



**Mariam Avalishvili**
Project coordinator/Journal editor. Has multi profile working experience and 3-year experience in non-governmental sector. Mariam Avalishvili speaks fluent Georgian and Russian and basic French. Has worked for the organization since 2003.

# მომავალი შესაძლებლობები
# Future Capacity




როგორც "ქართლი XXI"-ის თანამშრომლები, ყოველდღიურად ჩვენ ვმუშაობთ სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე თემის შექმნაზე, მთავრობის ანგარიშვალდებულების გაზრდაზე და მოქალაქეთა განათლების გაღრმავებაზე, რათა მათ შესაძლებლობა მიეცეთ, გაიაზრონ მათი სრული პოტენციალი. მხოლოდ განათლების მქონე მოქალაქეებს შეუძლიათ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება. ეს არის ის თეორია, რომლითაც ჩვენ ვიმუშავებთ მომავალში, სამართლიანობისთვის, თანასწორობისა და თავისუფლებისთვის. მომავალ წლებში "ქართლი XXI" გააგრძელებს მოსახლეობის განათლების გაზრდას სამუშაო ადგილის მოპოვებასთან დაკავშირებული პრაქტიკული ტრენინგების ჩატარებით, გამჭვირვალე ინფორმაციის გავრცელებით და შიდა ქართლის მესამე სექტორის ორგანიზაციებს შორის ლიდერობით.

*At Kartli XXI we work every day on creating a community with civil responsibility, government accountability, trained workers and a place where all people have the opportunity to realize their full potential. Only after citizens are educated and take responsibility to hold the government accountable for their actions will democracy thrive. It is in this theory that we are working for a future Khashuri, one of justice, equality and freedom. In the coming years Kartli XXI will continue to educate the public with practical job training, disseminate crucial transparency information and lead Shida Kartli's third sector.*

ხაშური, საქართველო 5700
ტაბიძის ქ. №11, ბინა №1
ტელ/ფაქსი: 8 268 43858/43358
ელ-ფოსტა:infokartliXXI@yahoo.com

11 Tabidze St.
Khashuri, Georgia 5700
Tel/Fax: 8 268 43858/43358
E.mail:infokartliXXI@yahoo.com